სსიპ „ქ. თელავის ვაჟა ფშაველას სახელობის

პროფესიული დრამატული თეატრი“-ს

სამხატვრო ხელმძღვანელს

ბატონ პაატა გულიაშვილს

შესყიდვების მენეჯერის ლევან ბასილაურის

მოხსენებითი ბარათი

გაცნობებთ, რომ ორგანიზაციას გააჩნია დავალიანება 10 ლარის ოდენობით სატენდერო განცხადებების გამოქვეყნების საფასურის.

იხ. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელ. შეტყობინება:

იმ შემსყიდველ ორგანიზაციათა საყურადღებოდ, რომელთაც გააჩნიათ საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის გამოქვეყნებისათვის დაწესებული საფასურის დავალიანება

შეგახსენებთ, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 30 ივნისის №15 ბრძანებით დამტკიცებული „სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის და საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასურის ოდენობისა და გადახდის წესის“ მეორე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად: „შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასური გადაიხადოს შესაბამის კონკურსში საკონკურსო წინადადების მიღების ვადის დასრულებიდან 30 დღის ვადაში ნებისმიერი პერიოდულობით, გამოცხადებული კონკურსების რაოდენობის შესაბამისად.“

გაცნობებთ, რომ თქვენს ორგანიზაციას 2022 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით გააჩნია საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის გამოქვეყნებისათვის დაწესებული საფასურის დავალიანება **10** ლარის ოდენობით და შესაბამისად, დარღვეულია საფასურის გადახდისათვის ზემოაღნიშნული ბრძანებით დადგენილი ვადები.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენი ორგანიზაციის მიერ 2022 წლის 26 მარტამდე არ მოხდება დავალიანების სრული ოდენობით დაფარვა, ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტის მე-6 პუნქტის შესაბამისად, თქვენ შეგეზღუდებათ სისტემით სარგებლობის უფლება დავალიანების სრულად გადახდამდე.

დავალიანების სრულად გადახდის შემდეგ აღნიშნულის დამადასტურებელი საგადახდო დავალება დასკანერებული სახით გამოგვიგზავნეთ შემდეგ ელ.ფოსტის მისამართზე: mphartenadze@spa.ge

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს უზრუნველყოს ანგარიშსწორება.

რეკვიზიტები: ბანკის კოდი: TRESGE22, სახაზინო კოდი: 302009000 სსიპ “სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, დანიშნულება: სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასური (ქვეკოდი 9001);

ლ. ბასილაური

Levan Basilauri

Levan Basilauri
2022.03.10 13:51:21
+04'00'
2021.011.20039